დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

თებერვალი, 2023

კონსტანტინე ციციშვილს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური პრიზი გადაეცა

2 თებერვალს, პოლონეთში საქართველოს საელჩომ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის პროექტის - „დიასპორის წარმომადგენელთა განსაკუთრებული ღვაწლის აღიარება 2022“ ერთ-ერთ გამარჯვებულს, პოლონეთში ქართული დიასპორის უხუცეს წარმომადგენელს, მხატვარსა და რეჟისორს, კონსტანტინე ციციშვილს ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის, „სპეციალური პრიზი“ გადასცა.

ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონია პოლონეთში საქართველოს საელჩოში გაიმართა, რომელსაც ქართული დიასპორის წევრები ესწრებოდნენ. კონსტანტინე ციციშვილს, აგრეთვე, გადაეცა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ილია დარჩიაშვილის სამახსოვრო საჩუქარი.

ქ. ათენში ქართველი ავტორების პუბლიკაციის პრეზენტაცია მოეწყო

2 თებერვალს, საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოში მოეწყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის - „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ 2022 წლის გამარჯვებულის, ათენში მოღვაწე ქართველი ისტორიკოსის, გიორგი ჯანელიძის პუბლიკაციის „საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბერძნეთის სამეფოს ურთიერთობა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური და ისტორიული არქივის დოკუმენტების მიხედვით (1919-1921 წლებში)“ პრეზენტაცია.

პუბლიკაციაში შესული დოკუმენტები ბერძნულიდან ქართულ ენაზე თარგმნეს, გამოკვლევა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ისტორიკოსებმა გიორგი ჯანელიძემ, შალვა კირთაძემ და ლევან ჯიქიამ.

ღონისძიებაზე დამსწრე ქართველ და ბერძენ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საელჩოს უფროსმა მრჩეველმა დარეჯან მუმლაძემ. მან პუბლიკაციის ავტორებს მიულოცა ამ მნიშვნელოვანი ორენოვანი კრებულის გამოცემა და იმედი გამოთქვა, რომ ნაშრომი ერთგვარი ინსპირაციის წყარო გახდება ამ საკითხით დაინტერესებული ქართველი თუ ბერძენი მკვლევარებისთვის.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, საბერძნეთის აკადემიური წრეების წარმომადგენლები, ქართული დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლები და ბერძენი ჟურნალისტები.

მარიამ ჭიღლაძის წიგნის პრეზენტაცია ქ. შტუტგარტში

4 თებერვალს, ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალურ საკონსულოში, ქართველი ემიგრანტის, მარიამ ჭიღლაძის წიგნის ,,მემკვიდრეობა“ პრეზენტაცია გაიმართა.
წიგნის ავტორმა ლიტერატურულ საღამოზე მისულ სტუმრებს ავტობიოგრაფიული რომანიდან რამდენიმე ეპიზოდი წაუკითხა.
ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოების წინაშე სიტყვით გამოვიდა ქ. შტუტგარტში საქართველოს გენერალური კონსული, ლევან ღვაჩლიანი და ქ. მიუნხენის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვარი, მამა თამაზი (ლომიძე).
ღონისძიებას ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„ფესვების“ საიუბილეო გალა-კონცერტი ქ. ნიუ-იორკში

5 თებერვალს, ქ. ნიუ-იორკში მოქმედი ქართული კულტურის ცენტრის „ფესვები“ საიუბილეო გალა-კონცერტი გაიმართა, რომელიც კულტურის ცენტრის და მასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის დაარსების 20 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონცერტზე წარმოდგენილი იყო დახვეწილი ქორეოგრაფია, ულამაზესი სასცენო კოსტიუმები, ქართული მრავალხმიანობა და ქართული საკრავები.
ღონისძიებას ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ქ. ბარსელონაში ქართული საკვირაო სკოლის საიუბილეო ღონისძიება გაიმართა

5 თებერვალს, ქ. ბარსელონაში, ბარსელონას წმიდა ნინოს სახელობის სამრევლოსთან არსებული წმინდა ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის დაარსების 15 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა, მუსიკალურმა სტუდიამ ,,გამა“, ხალხური საკრავების შემსწავლელმა სტუდიამ ,,ვაზი“, ჯგუფმა ,,Georgian folk“ და ცეკვის ანსამბლმა ,,ქართველო“.

ღონისძიების ფარგლებში, ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, ალექსანდრე ჭკუასელმა წმინდა ნინოს სახელობის სამრევლოს წინამძღვარს, არქიმანდრიტ ლუკა ფალავანდიშვილს გაწეული ღვაწლისთვის მადლობის სიგელი გადასცა.

დამსწრე საზოგადოებამ, აგრეთვე, მოისმინა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ კონსტანტინიდის ვიდეო მიმართვა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ესპანეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ილია გიორგაძე, ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური საკონსულოს თანამშრომლები, ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლები და სპეციალურად მოწვეული სტუმრები საქართველოდან, საფრანგეთიდან და ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

ტალინის საკვირაო სკოლამ „მზიური“ საშობაო-საახალწლო ღონისძიება გამართა

5 თებერვალს, ქ. ტალინში მოქმედმა ქართულმა საკვირაო სკოლამ „მზიური“ საშობაო-საახალწლო ღონისძიება გამართა.

ღონისძიებაზე სკოლის ხელმძღვანელმა, ქეთევან ფალელაშვილმა და სკოლის პედაგოგებმა ბავშვებს გააცნეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შობა-ახალი წლის შეხვედრის ტრადიციები. სკოლის მოსწავლეებმა დადგეს საშობაო წარმოდგენა ვაჟა ფშაველას ნაწარმოების „სათაგურის“ მიხედვით.

ქ. რომში ჰოლოკოსტის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა

5 თებერვალს, ქ. რომში, ჰოლოკოსტის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი კონცერტი გაიმართა. კონცერტში მონაწილეობა მიიღო ქალთა ვოკალურმა სამოყვარულო ანსამბლმა "Le Vie Dei Canti", რომელსაც ქართველი მუსიკოსი, ეკა კაჭარავა ხელმძღვანელობს.

ქ. ემპოლიში „ნანილას“ მონაწილეობით კონცერტი გაიმართა

5 თებერვალს, ქ. ემპოლიში, ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებული ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ „ნანილას“ მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. ქართულმა ანსამბლმა პოლიფონიური მუსიკა, ფოლკლორი და საგალობლები შეასრულა.
ქართულ ანსამბლს, ღონისძიების მასპინძელმა მხარემ სამადლობელი სიგელი გადასცა.

ყაზანში ქართველი ახალგაზრდებისთვის კულინარიული მასტერ-კლასი ჩატარდა

5 თებერვალს, ყაზანის ქართველთა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის „სიონის“ მიერ ქართველი ახალგაზრდებისთვის ჩატარდა მასტერ-კლასი ქართულ კულინარიაში. ახალგაზრდები ქართული კერძის - ხინკლის მომზადების წესს გაეცნენ და თავისი ხელით მოამზადეს.
ღონისძიების დასასრულს შესრულდა ქართული ცეკვები.

ამერიკაში მყოფი ქართული დიასპორის წარმომადგენლების შეხვედრა ერიკა ოლსონთან

7 თებერვალს, ქართული მემკვიდრეობის ფონდში, გაიმართა ქართული დიასპორის წარმომადგენლების შეხვედრა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის მოადგილესთან, ერიკა ოლსონთან. შეხვედრაზე განხილულ იქნა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ოთხი პრიორიტეტული მიმართულება - დემოკრატია, თავდაცვა და უსაფრთხოება, ეკონომიკური, ვაჭრობისა და ენერგეტიკის საკითხები, ხალხის ურთიერთობა და კულტურული გაცვლა.
შეხვედრაში მონაწილეობდა სამხრეთ კალიფორნიის ქართული კულტურული და საგანმანათლებლო ცენტრი. შეხვედრა ჩატარდა ქ. სან-ფრანცისკოში საქართველოს გენერალური კონსულის დახმარებით.

შვედეთში მცხოვრებ მწერალსა და გამომცემელს, საბა ართვინელს მადლობის სიგელი გადაეცა

10 თებერვალს, შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ირაკლი ხუცურაული და საელჩოს თანამშრომლები, შვედეთში მცხოვრებ გამოჩენილ მწერალსა და გამომცემელს, საბა ართვინელს (შალვა თევზაძე) ეწვივნენ.
საბა ართვინელი თურქეთში დაიბადა და შვედეთში მე-20 საუკუნის სამოციან წლებში დამკვიდრდა. მას დიდი წვლილი მიუძღვის შვედეთში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში. მისი ინიციატივით შეიქმნა პირველი „ქართული კულტურის ცენტრი“ და გამოიცა რამდენიმე ქართულენოვანი წიგნი. ლიტერატურული საქმიანობის გარდა, იგი აქტიურად ეხმარებოდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და შუამავლობდა სკანდინავიის ქვეყნების მთავრობებთან ურთიერთობებში.
საქართველოს საელჩოს სახელით, საბა ართვინელს საქართველოს კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის მადლობის სიგელი საქართველოს ელჩმა გადასცა.

ქ. სანქტ-პეტერბურგში ჯანო ლიპარტელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა

11 თებერვალს, სანქტ-პეტერბურგის კულტურული ცენტრის „ტროიცკი“ დიდ დარბაზში ქართული ცეკვის ანსამბლის „სიხარული“ დამაარსებლის, ჯანო ლიპარტელიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა სანქტ-პეტერბურგის ქართული ეკლესიის წინამძღვარმა - დეკანოზმა კონსტანტინე გიორგაძემ.
ჯანო ლიპარტელიანის საქმეს აგრძელებს მისი შვილი, სოფიკო ლიპარტელიანი. ანსამბლ „სიხარულის“ წევრებმა საღამოზე შეასრულეს ცეკვები: „ნანილა“, „აფხაზური“, „მთიულური“, „კინტოური, „აჭარული“ და სხვა. საღამოზე მაყურებლის წინაშე, აგრეთვე, წარსდგა: ცეკვის თეატრი „ დიკსი“ და სხვა ქორეოგრაფიული ანსამბლები.

ქ. კიოლნში ქართული საღამო გაიმართა

12 თებერვალს, ქ. კიოლნში, „ქართულ-გერმანული კულტურის გაცვლითი საზოგადოების“ ხელშეწყობით, ქართული საღამო გაიმართა. საღამოში მონაწილეობას იღებდნენ გერმანიაში მცხოვრები მომღერლები მარიამ ქირია და ბექა ბუჩუკური.
საღამოს ესწრებოდნენ ქ. კიოლნში მცხოვრები თანამემამულეები და ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლები.

დავით ზალკალიანი პენსილვანიის წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარს ეწვია

12 თებერვლას, აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, დავით ზალკალიანი პენსილვანიის წმ.მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარს ეწვია და წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ხსენების დღისადმი მიძღვნილ სადღესასწაულო ღონისძიებას დაესწრო, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკაში ქართული ეპარქიის და ნიუ იორკის და პენსილვანიის შტატებში მცხოვრები ქართული დიასპორული ორგანიზაციების ინიციატივით გაიმართა.
საქართველოს ელჩმა სიტყვით მიმართა თანამემამულეებს და ხაზი გაუსვა საქართველოს ეკლესიის მნიშვნელოვან როლს საქართველოს ერთიანობისა და მშვიდობის განმტკიცების პროცესში. მან, ასევე, ისაუბრა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის უდიდეს მისიაზე უცხოეთში და მადლობა გადაუხადა მეუფე საბას მისი თავდაუზოგავი შრომისთვის.
ღონისძიებას ესწრებოდნენ პენსილვანიისა და ნიუ იორკის შტატებში მცხოვრები თანამემამულეები, აშშ-ში მოღვაწე ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები და საქართველოს საელჩოსა და ნიუ-იორკში საქართველოს საკონსულოს დიპლომატები.

თურქეთის რესპუბლიკაში დიასპორის წარმომადგენლებთან დისტანციური შეხვედრა გაიმართა



13 თებერვალს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად შექმნილი ვითარებისა და საქართველოს მოქალაქეთა, ასევე, დიასპორის წარმომადგენელთა მდგომარეობის გაცნობა და მათი საჭიროებების იდენტიფიცირება.

სამინისტრომ და საელჩომ თურქეთის რესპუბლიკაში მყოფ საქართველოს მოქალაქეებს მიაწოდა ინფორმაცია მიწისძვრის შემდგომ საელჩოს მუშაობის სპეციფიკისა და გაწეული საქმიანობის შესახებ და, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ მოუწოდა მათ საელჩოსთან მჭიდრო კოორდინაციისკენ, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეების ადგილსამყოფელის, მათი მდგომარეობისა და საჭიროებების დადგენის მიზნით.

დიასპორის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაში მონაწილეობდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვლადიმერ კონსტანტინიდი, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩი გიორგი ჯანჯღავა და თურქეთში მცხოვრები თანამემამულეები, მათ შორის, ისტორიული დიასპორის წარმომადგენლები.

ფლორენციაში უკრაინელი ბავშვებისთვის საკარნავალო საღამო გაიმართა

16 თებერვალს, ფლორენციაში, კულტურული ასოციაცია „იბერიას“ ძალისხმევით, ორგანიზაციების - Associazione culturale Italo-Georgiana IBERIA, Rotary Club Firenze Granducato, Pick Park, La finestra di Jacopo e la scuola sportiva Laurenziana მხარდაჭერით, კიდევ ერთი ღონისძიება სახელწოდებით „პროექტი თამაში რომელიც გვაახლოებს/ Il gioco che ci unisce“ გაიმართა.

ღონისძიება ჩატარდა უკრაინელი ბავშვებისთვის. საღამოზე ბავშვებს საშუალება მიეცათ მათთვის საგანგებოდ მოწვეული ილუზიონისტის გამართულ წარმოდგენას დასწრებოდნენ. ზეიმის დასასრულს ბავშვებს გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

ქ. ათენში მოეწყო საღამო „პრომეთეს კვალდაკვალ“

16 თებერვალს, ათენის ქართულმა ინსტიტუტმა და საბერძნეთის კულტურის ფონდმა, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობით, საღამო - „პრომეთეს კვალდაკვალ“ მოაწყო, რომელიც ბერძნულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობებს მიეძღვნა.
ბერძნული საზოგადოების წინაშე წარსდგნენ სხვადასხვა თაობის ქართველი ელინისტები: ავთანდილ მიქაბერიძე, ვერიკო მგელაძე, ზურა ვაჩეიშვილი, ანი უძილაური და თათია მთვარელიძე.
გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველოსა და საბერძნეთს შორის კავშირებზე ანტიკურ და ბიზანტიურ ეპოქაში, დიპლომატიურ ურთიერთობებზე, საქართველოს ბერძნებზე, ელინისტიკაზე საქართველოში და ქართველი მწერლების ნაწარმოებთა ბერძნულენოვან თარგმანებზე.
საღამოს უძღვებოდა თსუ ახალი ბერძნული ენის კათედრის ხელმძღვანელი და საბერძნეთის კულტურის ფონდის წარმომადგენელი საქართველოში, პროფ. სოფიო შამანიდი.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა საბერძნეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

16 თებერვალს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა, ილია დარჩიაშვილმა საბერძნეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა გამართა საბერძნეთში არსებული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პროგრამის „დიასპორული ინიციატივების მხარდაჭერა“ გამარჯვებულ თანამემამულეებთან.
მინისტრმა მადლობა გადაუხადა დიასპორის წარმომადგენლებს შეხვედრისთვის და ინფორმაცია მიაწოდა როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების, ასევე ქვეყნის განვითარების ძირითადი მიმართულებების შესახებ.
ილია დარჩიაშვილმა ხაზი გაუსვა დიასპორის განსაკუთრებულ როლს საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევასა და ასევე ქვეყნის საზღვრებს გარეთ საქართველოს პოზიტიური იმიჯის განმტკიცებაში და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს დიასპორის გასაძლიერებლად და სამშობლოს განვითარებაში მათი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ქ. სტოკჰოლმში „საქართველოს შვედი მეგობრების ასოციაციის“ ყოველწლიური შეკრება გაიმართა

16 თებერვალს, ქ. სტოკჰოლმში „საქართველოს შვედი მეგობრების ასოციაციის“ ყოველწლიური შეკრება გაიმართა.
ასოციაცია 2007 წელს შეიქმნა და ის საქართველოს კულტურით, ისტორიით, ხელოვნებით და ტრადიციებით დაინტერესებულ ადამიანებს აერთიანებს და შვედეთში საქართველოს პოპულარიზაციას და ცნობადობის ამაღლებას ეწევა.
შეხვედრაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა შვედეთის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, ირაკლი ხუცურაულმა, რომელმაც საქართველოს და შვედეთის ორმხრივ ურთიერთობებზე, ისტორიულ და კულტურულ კავშირებზე და მიმდინარე მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრა. ასევე, საუბარი შეეხო საქართველოსთვის აქტუალურ თემებს - ევროინტეგრაციას, ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მდგომარეობას და ქვეყანაზე რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების სიტუაციის გავლენას.
საელჩოს ორგანიზებით, მოეწყო საქართველოს სარეკლამო კლიპების ჩვენება, ხოლო ასოციაციის წევრებისთვის ქართული სიმღერები შეასრულა შვედეთში მოქმედმა ანსამბლმა „ალილომ“.

ქ. ათენში ქართველი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა გაიმართა

17, 18 და 19 თებერვალს, ქ. ათენში, MegArt Gallery-ში, უცხოეთში მოღვაწე ქართველი ხელოვანების ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „ფიქრების წყობა" («Πηγή Σκέψεων») გაიმართა.
გამოფენაზე წარმოდგენილი იყო სოფია ბელთაძის, თინათინ ტყეშელაშვილისა და კატერინა ბადურაშვილის ნახატები.

ქ. სტავროპოლში ქართული ცეკვების ჩემპიონატი გაიმართა

17-19 თებერვალს, ქ. სტავროპოლში, ნაციონალურ-კულტურული ავტონომია „იმედის“ ორგანიზებით, ქართული ცეკვების ჩემპიონატის ფინალი გაიმართა. ჩემპიონატში მონაწილეობა მიიღეს ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა სხვადასხვა ქალაქებიდან, მათ შორის მოსკოვიდან, სტავროპოლიდან, სოჭიდან, ნოვოროსიისკიდან, ვლადიკავკაზიდან, ესენტუკიდან, ანაპადან, როსტოვი-დონიდან და ადიღეს რესპუბლიკიდან.

ღონისძიებას დაესწრო რუსეთის ფედერაციაში შვეიცარიის საელჩოს საქართველოს ინტერესების სექციის კონსული, სოზარ კვინჩია. ღონისძიებას ასევე ესწრებოდა საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის თავმჯდომარე, იური თორაძე. მან ქართული ქორეოგრაფიის ბრწყინვალების ორდენი გადასცა ვახტანგ ჯორბენაძეს, რომელიც ხელმძღვანელობს ქ. სტავროპოლში ანსამბლს „კავკასიონი“.

ვიზიტის ფარგლებში, კონსულმა გამართა ქ. სტავროპოლში, ქ. ვოლგოგრადსა და ქ. სოჭში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ვახტანგ ჯორბენაძესთან, სოსო გოგსაძესთან და ვლადიმერ გეგეჭკორთან და ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა. შეხვედრაზე ორგანიზაციის ხელმძღვანელებმა ისაუბრეს განხორციელებულ და დაგეგმილ აქტივობებზე.

თურქეთის რესპუბლიკაში დიასპორის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა

20 თებერვალს, დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტისა და თურქეთის რესპუბლიკის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ერთობლივ სხდომაზე ონლაინ რეჟიმში გაიმართა შეხვედრა თურქეთის რესპუბლიკაში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან.

შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ვლადიმერ კონსტანტინიდი, თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, გიორგი ჯანჯღავა და თურქეთში მოქმედი დიასპორული ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

შეხვედრაზე ისაუბრეს თურქეთის რესპუბლიკაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად დაზარალებული საქართველოს მოქალაქეების და, ასევე, დიასპორის წარმომადგენელთა მდგომარეობაზე.

სტოკჰოლმში სტუდიამ „ნერგები“ მშობლიური ენის საერთაშორისო დღეზე საქართველო წარადგინა

21 თებერვალს, შვედეთში, მშობლიური ენის საერთაშორისო დღე აღინიშნა. ღონისძიებაში 30 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის საქართველო, რომელიც შვედეთის ი. ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა სტუდიამ „ნერგები“ წარადგინა. სტუდიის მოსწავლეებმა მაყურებლის წინაშე შეასრულეს ქართული ეროვნული ცეკვები. ნერგელების უკანა ფონი საქართველოს ულამაზესი ხედებით იყო გაფორმებული.
მშობლიური ენის საერთაშორისო დღე, იუნესკომ 1999 წელს დააწესა ენობრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნების, განვითარებისა და წარმოჩენის მიზნით და 2000 წლის თებერვლიდან ყოველწლიურად სხვადასხვა ღონისძიებებით მთელ მსოფლიოში აღინიშნება.

ქ. ბრიუგეში ქართველი და პოლონელი სტუდენტების მიერ ორგანიზებული კონფერენცია გაიმართა

21 თებერვალს, ქ. ბრიუგეში, ევროპის კოლეჯში, ქართველი და პოლონელი სტუდენტების მიერ ორგანიზებული კონფერენცია „Georgia-EU relations – who should care more?!“ გაიმართა.
კონფერენციაში მონაწილეობდნენ ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენელი, ვახტანგ მახარობლიშვილი; ევროპარლამენტის წევრი, ანა ფოტიგა; ევროპული პოლიტიკის კვლევითი ცენტრის (CEPS) მკვლევარი, თინათინ ახვლედიანი; საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ევროპული ცენტრის (ECIPE) მკვლევარი, თენგიზ ფხალაძე; ღონისძიებაში, ონლაინ-ფორმატში მონაწილეობა ასევე მიიღეს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ელჩმა, პაველ ჰერჩინსკიმ და მკვლევარმა, არკადიუშ ლეგიჩმა. კონფერენცია ევროპის კოლეჯის რექტორმა, ფედერიკა მოგერინიმ გახსნა.
დისკუსიის მონაწილეებმა ისაუბრეს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების აქტუალურ საკითხებზე: ევროპული პერსპექტივის მინიჭების თაობაზე; 12 პრიორიტეტის შესრულების მიმდინარეობასა და მიღწეულ პროგრესზე; ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციაზე და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ეკონომიკურ ასპექტებზე.
პანელური დისკუსიის შემდგომ, ღონისძიება კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა, რომლის ფარგლებშიც ბრიუგეს კოლეჯის სტუდენტების კითხვებს კონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს.
კონფერენციის შემდგომ, გაიმართა მიღება, რომლის ფარგლებშიც საელჩომ ღვინითა და ქართული კერძებით უმასპინძლა პანელური დისკუსიის მონაწილეებსა და სტუდენტებს.

ქ. პარიზში საბჭოთა ოკუპაციის 102 წლისთავი აღნიშნეს

19 თებერვალს, საფრანგეთში ქართველთა ისტორიული სათვისტომოს ორგანიზებით, წმინდა ნინოს სახელობის პარიზის ქართულ ეკლესიაში 1921 წელს, საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ძალებთან შეტაკებებისას დაღუპულთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს.

ქ. პარიზში ფილმის „შინდისი“ პრემიერა გაიმართა

23 თებერვალს, ქ. პარიზის ცნობილ კინოთეატრ Christine Cinéma Club-ში, საფრანგეთში ქართველთა ისტორიული სათვისტომოს ორგანიზებით გაიმართა ქართული ფილმის „შინდისი“ პირველი ჩვენება საფრანგეთში. ფილმის სიუჟეტი ეფუძნება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის რეალურ მოვლენებს.

პრემიერას დაესწრო საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი და იუნესკოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი, გოჩა ჯავახიშვილი.

კინოჩვენებაზე მისულ მაყურებელს სიტყვით მიმართეს საქართველოს ელჩმა და ქართველთა ისტორიული სათვისტომოს თავმჯდომარემ, ოთარ ზურაბიშვილმა.

ქ. ტორონტოში ქართული ეკლესიის დაარსების საიუბილეო კონცერტი გაიმართა

25-26 თებერვალს, ქ. ტორონტოში, ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესიის დაფუძნების წლისთავთან და ეკლესიასთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის ახალი შენობის გახსნასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ სამრევლოსთან არსებული ცეკვის და სიმღერის ანსამბლი „ივერიონი“ და ქართული ხალხური სიმღერის და საკრავების ოსტატები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ კანადაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, კახა იმნაძე, ჩრდილოეთ ამერიკის ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი) და დიასპორის წარმომადგენლები.
ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ელჩმა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა თანამემამულეებთან და დაესწრო სადღესასწაულო ლიტურგიას.

ქ. ვარშავაში ქართველი ოფიცრების მონუმენტი გვირგვინით შეამკეს

25 თებერვალს, ქ. ვარშავაში, 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის თარიღთან დაკავშირებით, პოლონეთში მცხოვრები ქართული დიასპორის წარმომადგენლებმა და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ, თავდაცვის ატაშემ, პოლკოვნიკმა ვეფხვია ჩალაბაშვილმა გვირგვინით შეამკეს ვარშავის აჯანყების მუზეუმის თავისუფლების პარკში მდებარე ქართველი ოფიცრების მონუმენტი.

ქ. ჰანოვერში დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა

26 თებერვალს, ჰანოვერის ქართულ სათვისტომოსთან მოქმედ საკვირაო სკოლაში დედის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი ჩატარდა. ღონისძიებაზე სკოლის მოსწავლეებმა ქართული სიმღერებით და ლექსებით მიულოცეს დედებს მათი დღე და წარმოადგინეს სპექტაკლი „კომბლე“.
ღონისძიების დასასრულს ბავშვებმა მშობლებს ყვავილები და თავიანთი ხელით დამზადებული მისალოცი ბარათები გადასცეს.

ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შეიმეცნე შენი სამშობლო“

26 თებერვალს, გაერთიანებული სამეფოს პირველი ქართული სკოლის ხელმძღვანელის, ლიანა ჯიქია-გოგრიჭიანის ინიციატივით, ზუმის ფორმატში ჩატარდა რიგით მე-7 ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, სახელწოდებით „შეიმეცნე შენი სამშობლო“. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო შემდეგი თემატიკა: ღმერთები, მითები, ლეგენდები, მითოლოგია, წარმართული ღვთაებები და დღესასწაულები. კონფერენციაში მონაწილეობდნენ „ახალგაზრდა დელეგატები“ შემდეგი ქვეყნებიდან: ინგლისი, იტალია, გერმანია, ესპანეთი, საბერძნეთი, რუსეთი, აშშ, საქართველო.
ლონდონის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შედგებოდა ათი თემატური კონფერენციისგან. მისი დასკვნითი ნაწილის ჩატარებას, მათ შორის, მონაწილეთა დაჯილდოების ცერემონიას, კონფერენციის ორგანიზატორები საქართველოში გეგმავენ.

ქ. ათენში გაზეთ „ელადას“ 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა

26 თებერვალს, ქ. ათენში, გაზეთ „ელადას“ 20 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო პოეზიის საღამო-კონკურსი მხატვრულ კითხვაში „პოეზია შუქია სულისა“, რომელსაც უძღვებოდა გამომცემლობის ხელმძღვანელი რუსუდან ჯანელიძე.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი დიასპორის წარმომადგენლებმა: მაგდა გორგიძემ, ირინა იოსებაშვილმა, ლელა ოჩიაურმა, ინგა ლონდარიძემ, მადონა ჯავახიშვილმა, თეო ქველიძემ, იუნონა რუსიძემ, ლენა ცნობილაძემ, მამუკა ქაჯაიამ, ხათუნა ბოღრაშვილმა, მზეო არახამიამ, ცისანა მამაიაშვილმა, ფატი ლატაურმა, თამარ ლომიაშვილმა, ნათელა ღაჭავამ, მანანა შავლაშვილმა და გიორგი კუბლაშვილმა.

ქ. რომში საშობაო კონცერტი გაიმართა

1 იანვარს, ქ. რომში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სამრევლოს და კულტურულ-საგანმანათლებლო ასოციაცია „აკიდოს“ ორგანიზებით საშობაო კონცერტი გაიმართა. კონცერტზე მევიოლინე სანდრო თიგიშვილისა და ორკესტრის Georgian Chambers Soloists წევრების ვიქტორია არუთინოვის, გიორგი გურგენიძისა და მათთან ერთად უკრაინელი მევიოლინე მარიანა ჰანასევიჩის მიერ შესრულებული იქნა კომპოზიტორ სულხან ცინცაძის ნაწარმოებები, რომლებიც შექმნილია ქართულ-ხალხური ფოლკლორის ბაზაზე. კონცერტის დასასრულს რომში მოღვაწე ქართველმა დირიჟორმა ლაურა გოგიაშვილმა ორკესტრის წევრებთან ერთად ყველასათვის საყვარელი „სულიკო“ შეასრულა.
საღამოზე მისულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა რომის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა მამა იოანემ (ხელაია).
ღონისძიებას ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ადგილობრივი იტალიელი და ქართველი სტუმრები ესწრებოდნენ.

საშობაო კონცერტი „ქართული რითმები“ ქ. დუბლინში

7 იანვარს, ქ. დუბლინში მოქმედი ქართული ხალხური ცეკვის ანსამბლის - „National Rhythm of Georgia“ ხელმძღვანელისა და ქორეოგრაფის, ლაშა საბაშვილის ორგანიზებით, საშობაო კონცერტი - „ქართული რითმები“ გაიმართა.

კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ირლანდიაში მოღვაწე ხელოვანები და შემოქმედებითი კოლექტივები: „National Rhythm of Georgia“, ეთნო ბენდი „Kavkasioni“, მომღერალი გურამ ლალიაშვილი და პიანისტი გოგიშკა ქინქლაძე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგენლები ირლანდიაში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი, ნინო შამუგია.

ანსამბლი „National Rhythm of Georgia“ არა ერთი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილეა და აქტიურად ეწევა ირლანდიაში ქართული კულტურის პოპულარიზაციას.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO